საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 772 2019 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №90 დადგენილების შესაბამისად, სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიეცეს წინასწარი თანხმობა, საინფორმაციო სისტემებისა და სერვერების მოწყობილობების (CPV48800000) სახელმწიფო შესყიდვა, თანმდევი მომსახურებების გათვალისწინებით, განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის“ პროგრამით (პროგრამული კოდი - 27 01 03) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე